დანართი N1
დამტკიცებულია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 ოქტომბრის
N261/02-01 ბრძანებით

1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორატორიის გამგის (არაორგანული ქიმიის ლაბორატორია) შერჩევა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი;

3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:

კონკურსის წესით ლაბორატორიის გამგის (არაორგანული ქიმიის ლაბორატორია) შერჩევა.

საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს კონკურსანტი გასაუბრებაზე;

კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც კენჭისყრაში მონაწილეობას არ ღებულობს.

4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისია კონკურსანტის დაუსწრებლად აფასებს მის მონაცემთა შესაბამისობას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ლაბორატორიის გამგის (არაორგანული ქიმიის ლაბორატორია) თანამდებობრივ მოთხოვნებთან.
2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
3. კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
4. იმ კანდიდატების შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.
5. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
6. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ ლაბორატორიის გამგესთან (არაორგანული ქიმიის ლაბორატორია) გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება;

5. დავების გადაწყვეტა

1. კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.